ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 85

9 ივნისი 2020 წ. ქ.თბილისი,თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლია.
კომისიის წევრები: ირაკლი ზარქუა,რამინა ბერაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე, ვახტანგ შაქარიშვილი, ირაკლი ნადირაძე.

მოწვეული სტუმრები:

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახური: გაიოზ თალაკვაძე
სსიპ ქონების მართვის სააგენტო-თამარ მელიქიშვილი

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას უძღვება ოთარ გრიგოლია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი.

1. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი (№11-0120160194) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ. (№15-032016044-03)
2. "ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა N14-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 06/020-ში, საკადასტრო კოდი: N01.17.10.006.020.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " (12-032014861-03)
3. "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მეფუტკრეობის ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N81.02.13.745.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " (12-032014861-03)
4. "ქალაქ თბილისში, ვაზისუბანი მიკრო/რაიონი 2ა, კორპუსი N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.07.001.001.01.023) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " (12-032014861-03)
5. "ქალაქ თბილისში, თენგიზ სტურუას ქუჩა N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.002.030.01.007) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "(12-03201537-03)
6. "ქალაქ თბილისში, ვაგზლის ქუჩა N57-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.016.003.04.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " (12-03201573-03
7. "ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N55-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.027.01.506) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე " (12-03201573-03)

8. „ქ. თბილისში, დიდი დიღმის IV მიკრო/რაიონში, 29-ე კორპუსის მიმდებარედ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 8613 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.10.07.004.058) ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვისა და შპს „პერსპექტივასათვის" (ს/კ: 405304950) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 13 მაისის N20.505.651 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხზე თანხმობის გაცემის თაობაზე (12-032015659-03)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი პირველი საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა გაიოზ თალაკვაძემ.

ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა საქალაქო სამსახური ითხოვს პროგრამის „ სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისთვის 18 წლა.დე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება," წლიური ასიგნებების გაზრდას 300 000 ლარით, „ კომუნალური სუბსიდრების" პროგრამის შესაბამისად შემცირების ხარჯზე. აპრილის თვეში დაფიქსირდა შეღავათით მოსარგებლე ნაკლები ბენეფიციარი, რამაც გამოიწვია აღნიშნულ პროგრამაში ეკონომია .

საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე-6 ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ", სადაც თბილისის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური ითხოვს მისთვის მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მ;-2 მუხლის მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად **მიეცეს თანხმობა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილი წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.**

დღის წესრიგით გათვალისწინებული მომდევნო საკითხები კომისიის წევრებს წარუდგინა თამარ მელიქიშვილმა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა N14-ის მიმდებარედ (ნაკვეთი 06/020-ში, საკადასტრო კოდი: N01.17.10.006.020.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

ზემოაღნიშნულ მისამართზე 50,26 კვმ საცხოვრებელი ფართი გადაეცემა რომან გიორგაძეს(01011034549), რომელიც გამგეობის წერილისა და შსს გასაუბრების ოქმების მიხედვით 1999 წლიდან ცხოვრობს და სარგებლობს ამ ფართით.ოჯახი შედგება 8 სულისაგან და არის სოციალურად დაუცველი (1000 ქულა). საცხოვრებელი ფართი გადაეცემა სიმბოლურ ფასად 1 ლარად.

მომხრე-6 ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მეფუტკრეობის ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N81.02.13.745.01.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მოქალაქე ელისო გაზდელიანს((27001004931), სიმბოლურ ფასად გადაეცემა აღნიშნულ მისამრთზე 95,40 კვმ საცხორებელი ფართი. მოქალაქე აღნიშნულ მისამსართზე ცხოვრობს ოჯახთან ერთად 21 წელი. ელისო გაზდელიანს საჯარო რეესტრის მონაცემებით სხვა ქონება არ უფიქსირდება.
მომხრე-6 ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, ვაზისუბანი მიკრო/რაიონი 2ა, კორპუსი N21-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.07.001.001.01.023) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"

მოქალაქე თეონა კვარაცხელიას (01005032956) სიმბოლურ ფასად გადაეცემა აღნიშნულ მისამართზე 20 კვმ საცხოვრებელი ფართი. თეონა კვარაცხელია არის 2002 წლის მიწისძვრით დაზარალებული და აღნიშნულ ფართში ცხოვრობს 17 წელი.
მომხრე-6 ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, თენგიზ სტურუას ქუჩა N29-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.27.002.030.01.007) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მოქალაქე გოჩა ოსიაშვილს, რომელიც 23 წელია ცხოვრობს და სარგებლობს თბილისში, თენგიზ სტურუას ქ#29-ში მდებარე უძრავი ქონებით, სიმბოლურ ფასად გადაეცემა აღნიშნულ მისამართზე 142,70 კვმ საცხოვრებელი ფართი. წარმოდგენილია გამგეობის შუამდგომლობა და შსს გასაუბრების ოქმები ცხოვრების ფაქტთან დაკავშირებით.

პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზების საკითხებთან დაკავშირებით კომისიის წევრებმა, სთხოვეს სსიპ ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელს, რომ სამსახურმა გამოინახოს დამატებით კონტროლის სხვა მექანიზმი, რაზედაც თამარ მელიქიშვილმა განმარტა, რომ სამსახური აწარმოებს აღრიცხვას ექსელის ფაილში, სადაც შეყავთ ოჯახის თითოეული წევრი. ასევე განიხილავენ თანასაკუთრების საკითხსაც.

მომხრე- 6, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, ვაგზლის ქუჩა N57-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.016.003.04.504) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მოქალაქე ნინო რაჭველიშვილს(01011054920), რომელიც 10 წელზე მეტია ცხოვრობს და სარგებლობს ვაგზლის ქუჩა #57-ში მდებარე ფართში, სიმბოლურ ფასად გადაეცემა აღნიშნულ მისამართზე 1 სართულზე 110,01 კვმ საცხოვრებელი ფართი. წარმოდგენილია კრწანისის რაიონის გამგეობის შუამდგომლობა. ცხოვრების ფაქტი დასტურდება ამხანაგობის კრების ოქმითაც.

მომხრე- 6, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N55-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.027.01.506) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "

მოქალაქე ივანე დევნოზაშვილს (01022002013) სიმბოლურ ფასად გადაეცემა აღნიშნულ მისამართზე მდებარე 73,53 კვმ საცხოვრებელი ფართი. მოქალაქე 2009 წლიდან ცხოვრობს და სარგებლობს ამ ფართით.

მომხრე- 6, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

მოისმინეს: „ქ. თბილისში, დიდი დიღმის IV მიკრო/რაიონში, 29-ე კორპუსის მიმდებარედ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 8613 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.10.07.004.058) ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვისა და შპს „პერსპექტივასათვის" (ს/კ: 405304950) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 13 მაისის N20.505.651 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხზე თანხმობის გაცემის თაობაზე.

„ქ. თბილისში, დიდი დიღომი, IV მიკრო/რაიონი, 29-ე კორპუსის მიმდებარედ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 8613 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.10.07.004.058) ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვის და შპს „პერსპექტივასათვის" (ს/კ: 405304950) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის N81 განკარგულებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიეცა თანხმობა ზემოაღნიშნული საკითხის განხორციელების თაობაზე, ასევე, მოწონებულ იქნა წარდგენილი ხელშეკრულების პირობები. განკარგულებების გამოცემის შემდეგ, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის ცნობილი გახდა, რომ განკარგულების დანართი N1-ის 78-ე პუნქტით განსაზღვრული, ე.წ. „სხვა კოოპერატივების წევრი" ჯონდო ლილუაშვილი (პ.ნ. 01020015758) გარდაიცვალა 2020 წლის 21 თებერვალს ანუ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 13 მაისის N20.505.651 განკარგულების გამოცემამდე, ამასთან, არც მითითებული განკარგულების და არც ამ განკარგულების გამოცემის დროისათვის, არ არის გაცემული სამკვიდრო მოწმობა და არ არის ცნობილი ჯონდო ლილუაშვილის მემკვიდრეების ვინაობა, თუ ვინ წარმოადგენს მის უფლებამონაცვლეს მოცემულ სამართალურთიერთობაში.

აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გარდაცვლილი პირის მემკვიდრეებისათვის სამკვიდრო მოწმობის გაცემა შესაძლებელია პირის გარდაცვალებიდან 6 თვის გასვლის შემდეგ, ანუ მოცემულ შემთხვევაში – 2020 წლის 21 აგვისტოდან. ასევე აღსანიშნავია, რომ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის შესახებ ხელშეკრულება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტომ (შემდგომში - „სააგენტო") ზემოაღნიშნული განკარგულებების დანართი N1-ით გათვალისწინებულ პირებთან, მათ შორის, ჯონდო ლილუაშვილთან, უნდა გააფორმოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის N81 განკარგულების გამოცემიდან 3 (სამი) თვის ვადაში, მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულების გაფორმების ვადა იწურება 2020 წლის 15 აგვისტოს. შესაბამისად, სამი თვის გასვლის შემდეგაც კი, ჯონდო ლილუაშვილის უფლებამონაცვლეების ვინაობა უცნობი იქნება, რაც დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს მხარეთა შორის ხელშეკრულების გაფორმებისა და პროექტის განხორციელებისათვის.

პროექტის განხორციელების პროცესის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, ვინაიდან, ჯონდო ლილუაშვილის გარდაცვალების ფაქტის გამო, 2020 წლის 21 აგვისტომდე შეუძლებელი ხდება მხარეთა შორის დასადები ხელშეკრულებების გაფორმება, მოხდა ჯონდო ლილუაშვილი ჩანაცვლება სხვა პირით, ყოფილი საბინაო სამშენებლო კოოპერატივის წევრის, ლუჩია კობახიძის (პ.ნ. 01009009461) უფლებამონაცვლის, ვახტანგ რუსიეშვილით (პ.ნ. 01005045299),რომელიც აკმაყოფილებს „კოოპერატიული

ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქნილ საკითხთან დაკავშირებით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 7 დეკემბრის N18.996.1373 განკარგულებით გათვალისწინებულ რიგითობის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს. ჯონდო ლილუაშვილის შვილებმა და მეუღლემ როგორც სავარუდო მემკვიდრეებმა განაცხადეს, რომ თანახმა არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ და საკრებულომ მიიღონ გადაწვეტილება ზემოაღნიშნულ განკარგულებებში საჭირო ცვლილების განხორციელებისა და ჯონდო ლილუაშვილის (პ.ნ. 01020015758) დასაკმაყოფილებელ პირთა სიიდან ამოღების თაობაზე, იმ პირობით, რომ ჯონდო ლილუაშვილის (პ.ნ. 01020015758) უფლებამონაცვლეების დადგენის შემდეგ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი მოახდენს მისი მემკვიდრეებისათვის, ჯონდო ლილუაშვილის (პ.ნ. 01020015758) კუთვნილი წილის საკუთრებაში გადაცემას და დააკმაყოფილებს მათ, სამკვიდროს გაცემის დროისათვის, კოოპერატივების წევრთა დაკმაყოფილების მიზნით დაგეგმილი შესაბამისი პროექტიდან.

მომხრე- 6, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითი რეკომენდაცია მისცა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ოთარ გრიგოლია